პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 7 ივნისი, 1944 წ. № 114 (7058). ფასი 20 კაპ.

ბოლშევიკურად აღვზარდოთ პარტიის ახალი წევრები

„არც ერთ პარტიას არა ჰქონია და არა აქვს ისეთი ავტორიტეტი ხალხის მასებში, როგორიც ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას აქვს“,—ამბობს ამხანაგი სტალინი.

სამამულო ომის დღეებში განუწყვეტლივ იზრდება ლენინ-სტალინის პარტიის რიგები მოწინავე ადამიანებით, რომლებმაც გვიჩვენეს უსაზღვრო ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი. პარტიის რიგების ზრდა მოითხოვს შინაპარტიული მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიურად უნდა იზრუნონ პარტიაში ახალმიღებულთა ბოლშევიკურად აღზრდისათვის.

პარტიის წესდებით დადგენილია საკანდიდატო სტაჟი, „რაც საჭიროა იმისათვის, რომ კანდიდატი გაეცნოს პარტიის პროგრამას, წესდებას, ტაქტიკას და უზრუნველყოფილ იქნას კანდიდატის პირადი თვისებების შემოწმება პარტორგანიზაციის მიერ“. პარტიის წესდების ეს მოთხოვნა ყოველთვის მტკიცედ უნდა იქნას დაცული. მაგრამ ამით როდი მთავრდება ზრუნვა პარტიაში ახალმიღებულთა აღზრდისა და გამოწრთობისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი, რომელსაც დაწესებული საკანდიდატო სტაჟი გაუთავდა და მიღებულ იქნა პარტიის წევრად, ერთბაშად ვერ შეიძენს ყველა იმ შესანიშნავ თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელია ბოლშევიკისათვის. ამიტომ პარტიაში ახალმიღებულებთან მუშაობას უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი. მათ უნდა შეიძინონ მარქსისტულ-ლენინური ცოდნა, ისინი უნდა დაეუფლონ ბასების დარაზმვისა და ხელმძღვანელობის უნარს. რევოლუციური სიფხიზლე და რკინისებური დისციპლინა ბოლშევიკის განუყოფელი თვისებებია.

მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები განუწყვეტლივ ზრუნავენ პარტიის ახალ წევრთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდისა და მათი ბოლშევიკური გამოწრთობისათვის. ეს მუშაობა კარგად არის დაყენებული სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნისა და მთელ რიგ სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტორგანიზაციამ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში 25 ამხანაგი მიიღო საკავშირო კ. პ. (ბ) წევრად. ისინი აქტიურად მონაწილეობენ პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. თვითეული მათგანს აქვს მისი ცოდნისა და უნარის შესაფერი ისეთი პარტიული დავალება, რომელიც ეხმარება იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში, ბოლშევიკურ გამოწრთობაში.

მაგრამ მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებში სუსტად არის დაყენებული პარტიაში ახალმიღებულებთან მუშაობა.

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში სათანადო ყურადღება არ ექცევა იმ ამხანაგებს, რომლებიც პარტიაში ახლახან მიიღეს და დახმარებას საჭიროებენ. ყველა მათგანს აქ პარტიული დავალება არა აქვს მიცემული. ფაბრიკის საქსოვი საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი ფიქრობს, რომ პარტიული დავალება აუცილებლად უნდა ჰქონდეს საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატს, ამით ჩვენ მას ვზრდითო, ხოლო პარტიის წევრისათვის საჭიროდ არ მიიჩნია. საქსოვ საამქროში ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი: მრავალდაზგოსან ლ. აბდალაძეს, ვიდრე პარტიის წევრობის კანდიდატი იყო, ჰქონდა პარტიული დავალება, როცა პარტიის წევრი გახდა, მას არავითარი პარტიული დავალება აღარ მისცეს.

პარტიული დავალების შესრულებისათვის ბრძოლაში ხდება კომუნისტის გამოწრთობა პრაქტიკულ სამუშაოზე. ეს მისი ბოლშევიკური აღზრდის ერთერთი ძირითადი პირობაა. მაგრამ მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

ავიღოთ ერთეული კომუნისტებთან მუშაობა.

ერთეულ კომუნისტებთან მუშაობას თვით რაიკომი ეწევა მისი აპარატის საშუალებით. მაგრამ ამ მხრივაც არის ნაკლოვანებები. მაგალითად, ვორის რაიონში 58 ერთეულ კომუნისტს, რომელთაგან უმეტესობა პარტიის ახალი წევრია, არა აქვს მიცემული პარტიული დავალება.

პარტიაში ახალმიღებულთა პოლიტიკური აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად მომზადებულ პარტიულ კრებას, რომლის მუშაობაში თვითეული კომუნისტი აქტიურად მონაწილეობს. მაგრამ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია კრებების გულდასმით მომზადებას, მასში ახალგაზრდა კომუნისტების მონაწილეობას სათანადო ყურადღებას არ აქცევს. ერთერთი ქარხნის საამქროს პარტორგანიზაცია თავის კრებებს ხშირად იმენდად მოუმზადებლად ატარებს, რომ პრაქტიკულ ღონისძიებებსაც კი არ სახავს.

ლენინ-სტალინის პარტია მუდამ დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს პარტიის წევრთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმეს. განსაკუთრებული ყურადღება, ეთმობა ახალგაზრდა კომუნისტებს, რომელთაც ყველაზე უფრო ესაჭიროებათ პარტიული ორგანიზაციის დახმარება და მზრუნველობა ამ დარგში. ღრმად და საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ ამხანაგ სტალინის ისტორიული ნაშრომი „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის შესახებ“. საჭიროა მუშაობის იმგვარად წარმართვა, რომ თვითეული ახალგაზრდა კომუნისტის იდეურ-პოლიტიკური დონის ზრდა და ბოლშევიკური გამოწრთობა განუწყვეტლივ სწარმოებდეს. ამისათვის პარტიაში ახალმიღებულები აქტიურად უნდა ჩავაბათ პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, საწარმო-დაწესებულების, კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობაში, სისტემატურად შევამოწმოთ მათთვის მიცემული პარტიულ დავალებათა შესრულება. როცა კომუნისტის პოლიტიკური მომზადების დონე გაზრდილია, უნდა შევუცვალოთ მას პარტიული დავალებაც მისი ცოდნისა და უნარის შესაფერისად.

საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებს შეემატა ბევრი მოწინავე მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი. მათი ბოლშევიკური აღზრდა, ლენინისა და სტალინის დიადი იდეებით შეიარაღება პარტიული ორგანიზაციების ამოცანას შეადგენს. დავეხმაროთ პარტიის ახალ წევრებს იდეურ-პოლიტიკურ გამოწრთობაში, პრაქტიკულ მუშაობაში, მასებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ხელოვნების დაუოსტლებაში—ასეთია პარტიული ორგანიზაციების ერთერთი საბრძოლო ამოცანა.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო იტალიის მთავრობის წარმომადგენელი ბ-ნი პ. კვარონი

6 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო იტალიის მთავრობის წარმომადგენელი სსრ კავშირის მთავრობასთან ბ-ნი პეტერს კვარონი, რომელიც ამას წინათ ჩამოვიდა მოსკოვში.

მივაღწიოთ მგრის საბოლოო განადგურებას

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში ყველას პირზე აკერია ცნობა ჩრდილოეთ საფრანგეთში ჩვენი მოკავშირეების — დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დესანტის გადასხმის შესახებ. მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, მოსამსახურეებს — ყველას იტაცებს ამაღელვებელი ამბავი იმის შესახებ, რომ დასავლეთიდან დაიწყო ახალი შეტევა ფაშისტი მხეცის წინააღმდეგ.

რადიორეპროდუქტორებთან მუშები გროვდებიან. ისინი ხარბად ისმენენ მოკავშირეთა გრანდიოზული ოპერაციის შესახებ ახალი ცნობების ყოველ სიტყვას. მუშები მხურვალედ მსჯელობენ ამბებზე.

კომკავშირულ-ფრონტული ბრიგადის ბრიგადირმა ე. ხიზანიშვილმა განაცხადა:

— სულითა და გულით მივესალმები ჩვენი მოკავშირეების — დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების— მამაცი არმიების საჰაერო მებრძოლებსა და მეთაურებს, რომლებმაც განახორციელეს ჩრდილოეთ საფრანგეთში დესანტის გადასხმის გაბედული და პასუხსაგები ოპერაცია.

— შესრულდა საბჭოთა ხალხის, ჰიტლერის მიერ დამონებული ყველა ქვეყნის ხალხთა, მთელი მოწინავე კაცობრიობის მხურვალე სურვილი. ახლა არის საბოლოო გამარჯვება. მთელი საბჭოთა ხალხი უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მეტი დაძაბვით იმუშავებს, რათა დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებთან ერთად მიიღწიოს კატაბრიობის მტრების — ჰიტლერელი დამპყრობლებისა და მათი სატელიტების სრულ და საბოლოო განადგურებას.

— ომის ფრონტებზე გაჩაღებული დიადი ამბები აღფრთოვანებული, ვალდებულებას ვკისრულობ 250 პროცენტით შევასრულო ივნისის დავალება.

მექანიკური საამქროს ხარატთა ბრიგადირი ამხ. ბაღდასაროვი ვალდებულებას კისრულობს შეასრულოს ფრიად მნიშვნელოვანი დავალება 8 კაცისაგან შემდგარი ბრიგადით ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 12 კაცისა. ერთი თვის განმავლობაში ივნისისა და ივლისის დავალების შესრულება იკისრა ხარატთა ბრიგადირმა ამხ. გოსაშვილმა. ათასოვანმა მირზოევმა პირობა დასდო 25 ივნისისათვის 1.000 პროცენტით შეასრულოს თვიური დავალება. (საქდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

6 ივნისის ოპერაციული ცნობა

6 ივნისის განმავლობაში ქალაქ იასის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების ყველა იერიში. 5 ივნისის განმავლობაში ამ რაიონში დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 49 ტანკი და ჩამოგდებულია 42 თვითმფრინავი.

ფრონტის სხვა უბნებზე ცვლილება არ მომხდარა.

5 ივნისის განმავლობაში ყველა ფრონტზე საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 48 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმა ქალაქ იასის რკინიგზის კვანძსა და სამხედრო ობიექტებზე

5 ივნისს ღამით ჩვენმა მოქმედების ავიაციამ მასირებული თავდასხმა მოახდინა ქალაქ იასის (რუმინეთი) რკინიგზის კვანძსა და სამხედრო ობიექტებზე. დაბომბვის შედეგად გაჩნდა ხანძრის 90-მდე კერა. იწყოდა რკინიგზის შემადგენლობები, სადგურის შენობები და მოწინააღმდეგის სამხედრო საწყობები. ხანძრებს თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი.

ქალაქ იასის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ. გერმანელებმა, რომლებმაც ამ ოკანასკნელ დღეებში დიდი ზარალი ნახეს, დღეს ბრძოლაში გამოიყვანეს შედარებით ნაკლები ძალები ტანკებისა და ქვეითი ჯარისა. საბჭოთა ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს ჰიტლერელთა ყველა იერიში. გააფთრებული ბრძოლა მოხდა მხოლოდ იმ უბანზე, რომელსაც იკავებს ნ შენაერთი. დღის განმავლობაში გერმანელები ამ რაიონში ორჯერ გადმოვიდნენ იერიშზე, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს. ჩვენი პოზიციების წინ დარჩა გერმანელთა რამდენიმე დაზიანებული ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი და მტრის 300-მდე გვამი.

* * *

ქალაქ ტირასპოლის ჩრდილო - დასავლეთით ნ ნაწილის 37 სნაიპერმა უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში 158 გერმანელი გაელიტა. სნაიპერმა ამხ. ნიკულინმა მოჰკლა 13 გერმანელი ჯარისკაცი, სნაიპერმა ამხ. ლაპინმა — 8, სნაიპერმა ამხ. რიაბუშინკომ — 7, სნაიპერმა ამხ. კლიმენტიევმა 5 გერმანელი მოსპო.

* * *

ქალაქ ვიტებსკის ჩრდილო-დასავლეთით ბჭეერავი რაზმი კაპიტან გერასიმენკოს მეთაურობით დილაადრიანად შეიჭრა მოწინააღმდეგის განლაგებაში. საბჭოთა მებრძოლებმა ააფეთქეს სამი მიწური, მოსპეს 20 ჰიტლერელი, ხელთ იგდეს 6 ტყვე და დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ 4 ივნისს ღამით ბალტიის ზღვაში რისძირა გერმანელთა სამი ტრანსპორტი 11 ათასი ტონა სიერთო წყალწყვეისა.

* * *

გერმანელთა 35 თვითმფრინავმა გუშინ სცადა თავს დასხმოდა ერთ-ერთ ჩვენს სამხედრო ობიექტს ფინეთის ყურეში. მოწინააღმდეგის თვითმფრინავებს შეხვდნენ პოდტყვიამფრქვევები და ზარბაზნები დაეუფინეთ და ცეცხლი გავუჩინეთ რამდენიმე ეშელონს ქალაქ იასის უახლოეს რკინიგზის სადგურებზე. ჩვენი მფრინავები ხანძრების ალს ხედავდნენ სამიზნოდან დაბრუნებისას 100 კილომეტრზე მეტი მანძილიდან.

• ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.



მოკავშირეთა არმიები გადასხდნენ საფრანგეთში

დაიწყო სამომარი ოპერაციები ევროპის კონტინენტზე

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა

ლონდონი, 6 ივნისი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბმა გამოაქვეყნა № 1 კომუნიკე. კომუნიკეში ნათქვამია, რომ გენერალ ეიზენჰაუერის სარდლობით მოკავშირეთა სამხედრო-საზღვაო ძალებმა დიდი სამხედრო საჰაერო ძალების დახმარებით დღეს დილით დაიწყეს მოკავშირეთა არმიების გადასხმა საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროზე.

გენერალ ეიზენჰაუერის ბრძანება

ლონდონი, 6 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მოკავშირეთა ჯარების თვითეულ ჯარისკაცს შეეხოს ოპერაციის წინ გადაეცა გენერალ ეიზენჰაუერის ბრძანება. ბრძანებაში ნათქვამია:

„მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების ჯარისკაცებო, მატროსებო და მფრინავებო! თქვენ იმყოფებით დიად ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩაბმის წინ, რომლისკენაც ჩვენ ვიმზრაფოდით ამ ხანგრძლივი თვეების მანძილზე. მთელი მსოფლიო თქვენ შემოგყურებთ. მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ადამიანთა იმედები და ლოცვა თან გახლავთ თქვენ. ჩვენს მამაც მოკავშირეებთან და თანამოიარაღე ძმებთან ერთად სხვა ფრონტებზე, თქვენ განახორციელებთ გერმანიის საბოლოო მანქანის განადგურებას, ისწინთ ნაცისტური ტირანიისაგან ევროპის ჩაგრულ ხალხებს და უზრუნველყოფთ ჩვენთვის უშიშროებას თავისუფალ მსოფლიოში.

თქვენი ამოცანა ადვილი არ იქნება. მტერი კარგად არის გაწვრთნილი, კარგად არის აღჭურვილი და გამოწრთობილია ბრძოლებში. იგი გააფთრებით იბრძოლებს, მაგრამ ჩვენ 1944 წელში ვცხოვრობთ. ბევრი რამ მოხდა მას შემდეგ, რაც ნაცისტები ბამარჯვებებს აღწევდნენ 1940 და 1941 წლებში. გაერთიანებულმა ერებმა დიდი დამარცხებანი აგებინეს გერმანელებს პირისპირ ბრძოლებში. ჩვენმა საჰაერო შეტევამ სერიოზულად შეამცირა მათი ძალები ჰაერში და მათი უნარი — აწარმოონ ომი ხმელეთზე. ჩვენმა საშინაო ფრონტმა დიდი უპირატესობა მოგვანიჭა ჩვენ შეიარაღებისა და სათარი მასალის დარგში და მოგვცა ჩვენს განკარგულებაში გაწვრთნილ ჯარისკაცთა დიდი რეზერვები. მდგომარეობა შეიცვალა. მთელი მსოფლიოს თავისუფალი ადამიანები ერთად მიდიან გამარჯვებისაკენ.

მე საგანგებით დარწმუნებული ვარ თქვენს მამაცობაში, მოვალეობისადმი ერთგულებაში და საბრძოლო ოსტატობაში. ჩვენ დავთანხმდებით მხოლოდდამხოლოდ სრულ გამარჯვებაზე.

გისურვებთ გამარჯვებას! ყოველისშემძლე ღმერთმა აკურთხოს ეს დიადი და კეთილშობილური წამოწყება!“.

ბრძანება დაურიგდათ შეტრის მონაწილეებს ბემბეში ჩასხდომის შემდეგ. იგი მეთაურებმა წაუკითხეს საექსპედიციო ნაწილთა ყველა სხვა ჯარებს.

მდგომარეობა მოკავშირეთა ჯარების გადასხმის რაიონში

ლონდონი, 6 ივნისი (საკდესი). სამხედრო კორესპონდენტები იუწყებიან ჩრდილოეთ საფრანგეთში მოკავშირეთა ჯარების გადასხმის შემდეგს დაწვრილებით ცნობებს. ჯარების გადასხმა დაიწყო ღილის 6 და 8 საათს შუა. პირველი ცნობები კეთილსასურველი ხასიათისა. ინგლისის ტრალერებმა ნაღმებისაგან გასუფთავეს საფრანგეთის სანაპიროს მისადგომები ფართო ფრონტზე, რაც შესაძლებელი გახადა, რომ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებს დაეშინთ სანაპიროსთვის. შემდეგ მოკავშირეთა ავიაციამ და ყოველგვარი ტიპის ხომალდებმა დაიწყეს გერმანელთა სანაპირო სიმაგრეებისა და საარტილერიო პოზიციების დაბომბვა და სრული აუტანეს მათ. ამ ოპერაციებში მონაწილეობენ ბრიტანეთისა და ამერიკის ფლოტების შენაერთები. ამერიკის 2 ხომალდზე საშუალოდ მოდიოდა ინგლისის 3 ხომალდი.

ამომქმედებული ავიაციის რაოდენობა სჭარბობს ყველაფერს, რაც დღემდე მოეხდარა. ჰაერში იდგა შეუნელებელი გუგუნი ათასობით თვითმფრინავისა, რომლებიც სანაპიროსაკენ მიფრინავდნენ ბომბების ტვირთიანად ან საღეესტო ჯარებიანად. ინგლისის მფრინავები, მორიგი რეისიდან რომ ბრუნდებოდნენ, შეხვდნენ ამ-

მოკავშირეთა ჯარების გადასხმის რაიონი

ლონდონი, 6 ივნისი (საკდესი). ლონდონის რადიომ გადასცა, რომ, როგორც ამჟამად შეიძლება გავარკვიოთ, მოკავშირეთა ჯარების გადასხმის რაიონი მოიცავს საფრანგეთის სანაპიროს მთელ უბანს ჰავრსა და შერბურს შუა.

მოკავშირეთა ჯარების დესანტები კეთილად გადასხმულია ჰავრის რაიონში, აგრეთვე მდინარეების ორნისა და ვირის შესართავებს შუა. გერმანელთა რადიოს განცხადებით, მოკავშირეთა ყველაზე დიდი სადესანტო ძალები გადასხდა შერბურის ადმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით.

რიკის „მფრინავ სიმაგრეთა“ გიგანტურ საჰაერო ფლოტს, რომელიც საფრანგეთის სანაპიროსაკენ მიემართებოდა. თვითმფრინავებს, რომელთაც საავიაციო სადესანტო ნაწილები გადაეყვანათ, ბუქსირით მიჰყავდათ პლანერები ჯარებიანად.

ლონდონი, 6 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს სამხედრო მიმომხილველმა შემდეგი ცნობები გადმოგვცა ჩრდილოეთ საფრანგეთის სანაპიროზე საომარი მოქმედების მსვლელობის შესახებ 6 ივნისის შუადღისათვის: „როგორც სჩანს, ოპერაციები ხელსაყრელად ვითარდება. გერმანიის ავიაცია ჯერ არ გამოჩენილა დიდი ძალებით. მე მრავალი მილი გადავიფრინე საფრანგეთის ტერიტორიაზე ამ ქვეყნის სიღრმეში, მაგრამ არ დამინახავს გადასხმის ადგილებისაკენ მიმავალი გერმანელთა სატანკო დივიზიები. ჰაერში მოკავშირეთა დიდძალი თვითმფრინავებია“.

ლონდონი, 6 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ჯარების უმაღლესი სარდლობის შტაბი იუწყება, რომ 4-დან 16-მდე დუმმიანი ყალიბის 640-ზე მეტი საზღვაო ქვემეხი უშუშს ნაპირს და მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტებს და ეხმარება მოკავშირეთა სახმელეთო ჯარების მოქმედებას.

მოკავშირეთა ჯარების გადასხმის რაიონი

ლონდონი, 6 ივნისი (საკდესი). ინგლისის ტრალერებმა ნაღმებისაგან გასუფთავეს საფრანგეთის სანაპიროს მისადგომები ფართო ფრონტზე, რამაც შესაძლებელი გახადა, რომ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებს დაეშინთ სანაპიროსთვის. შემდეგ მოკავშირეთა ავიაციამ და ყოველგვარი ტიპის ხომალდებმა დაიწყეს გერმანელთა სანაპირო სიმაგრეებისა და საარტილერიო პოზიციების დაბომბვა და სრული აუტეხეს მათ. ამ ოპერაციებში მონაწილეობენ ბრიტანეთისა და ამერიკის ფლოტების შენაერთები. ამერიკის 2 ხომალდზე საშუალოდ მოდიოდა ინგლისის 3 ხომალდი.

ამომქმედებული ავიაციის რაოდენობა სჭარბობს ყველაფერს, რაც დღემდე მოეხდარა. ჰაერში იდგა შეუნელებელი გუგუნი ათასობით თვითმფრინავისა, რომლებიც სანაპიროსაკენ მიფრინავდნენ ბომბების ტვირთიანად ან საღეესტო ჯარებიანად. ინგლისის მფრინავები, მორიგი რეისიდან რომ ბრუნდებოდნენ, შეხვდნენ ამ-

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲚᲐᲠᲘ

ლონდონი, 6 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა დღეს სიტყვა წარმოსთქვა თემთა პალატაში. ჩერჩილმა გააკეთა იტალიაში მოკავშირეთა საომარი ოპერაციების მიმოხილვა და განაცხადა, რომ 5 ივნისის ღამის განმავლობაში და 6 ივნისს დილაადრიანად გადასხმულ იქნა მოკავშირეთა დიდი დესანტები ევროპის კონტინენტზე. უზარმაზარმა არმადამ, რომელშიც 4 ათასამდე ხომალდი ითვლება, გადასერა ლა მანშში. ჩერჩილის სიტყვით, გერმანელთა სანაპირო ბატარიების ცეცხლი მნიშვნელოვანწილად ჩახშობილია. დაბრკოლებანი ზღვაში იმდენად ძნელი არ აღმოჩნდა, როგორც ვშიშობდით. „უკვე არის იმის იმედი, — სთქვა ჩერჩილმა, — რომ მიღწეულია ნამდვილი ტაქტიკური უეცრობა“.

ინგლის-ამერიკის ჯარები მოქმედებენ პირველი ხაზის 11 ათასამდე თვითმფრინავის დახმარებით, რომლებიც შეიძლება ბრძოლაში გაეგანილ იქნას საჭიროების მიხედვით.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ მტრის ხაზებს გადაღმა წარმატებით არის განხორციელებული საჰაერო დესანტების მასობრივი გადასხმა. სანაპიროს სხვადასხვა პუნქტებში ხდება საზღვაო დესანტების გადასხმა.

„ჯერჯერობით, — სთქვა ჩერჩილმა, — ოპერაციებში ჩაბმული მეთაურები იუწყებიან, რომ ყველაფერი გეგმის თანახმად ხდება. უეშველია, ეს გიგანტური ოპერაცია ყველაზე რთული და ძნელია იმასთან შედარებით, რაც ოდესმე მომხდარა“.

„ჩვენ იმედი გვაქვს, — განაგრძო ჩერჩილმა, — რომ ბრძოლების მსვლელობაში მთელ რიგ თანმიმდევრულ სიურპრიზებს ვოვუწყობთ მტერს. ბრძოლის მასშტაბები და მისი ინტენსიურობა განუწყვეტლივ იმატებს ზომავალი რამდენიმე კვირის განმავლობაში. — სთქვა ჩერჩილმა, — არ შეევცდები რაიმე ვარაუდი გამოვთქვა ოპერაციათა მსვლელობის თაობაზე. მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ მოკავშირეთა ყველა არმიაში სრული ერთიანობა სუფევს. ჩვენ და ჩვენი ამერიკელი მეგობრები შეკავშირებული ვართ თანამოიარაღეობის ძმობით. ჯარებს საბრძოლო სულისკვეთება, როგორც შემოხვევია მქონდა პირადად მენახა გემებში ჩასხდომის დროს უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში, საუცხოოა“.

ჩერჩილმა აღნიშნა, რომ დღეს უფრო გვიან იგი გამოაქვეყნებს შემდგომს ახალ ამბებს.

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის სალამოს ცნობა

ლონდონი, 6 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის № 2 კომუნიკეში ნათქვამია: „1944 წლის 5 ივნისს შუადამემდე ცოტა ადრე მოკავშირეთა ღამის ბომბდამშენებმა დაიწყეს შეტევითი მოქმედება. მეტად დიდი ძალების იერიშები დილამდე გაგრძელდა 6.30 და 7.30 საათს შუა 6 ივნისს ორმა სამხედრო-საზღვაო შენაერთმა დაიწყო შეტევითი მოქმედება მტრის სანაპიროს წინააღმდეგ. სამხედრო-საზღვაო ძალები, რომლებიც წინასწარ შეყრილნი იქნენ ადმირალ ვერტრამ რამსეის საერთო სარდლობის ქვეშ, გავიდნენ ზღვაში გრილ ამინდში და ღამის განმავლობაში მათ შეუერთდნენ დიდი სამხედრო ხომალდები, რომლებიც წინათ ჩრდილოეთის წყლებში იმყოფებოდნენ“.

შემდეგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ნაღმიანი ველების გაწმენდის შემდეგ სადესანტო გემები გაეშართნენ სანაპიროსაკენ საეს კადრო ნაღმოსნების საარტილერიო ცეცხლის საფარქვეშ, მაშინ როცა უფრო დიდმა ხომალდებმა დაუშინეს მტრის ბატარიებს, რომლებმაც უკვე განიცადეს დაბომბვა ჰაერიდან.

„ადასხდომა განხორციელებულ იქნა, — ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, — ჰაერიდან

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲠᲣᲖᲕᲔᲚᲢᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲬᲐᲛᲝᲛᲬᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ლონდონი, 6 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, პრეზიდენტმა რუზველტმა დღეს საღამოს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ოპერაციები საფრანგეთში „გეგმის თანახმად“. ამერიკელთა საჰაერო ზარალი შეადგენს სულ 2 ნაღმოსანს და 1 სადესანტო ხომალდს.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲔᲘᲖᲔᲜᲰᲐᲣᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲠᲐᲓᲘᲝᲗᲘ

ლონდონი, 6 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გენერალ ეიზენჰაუერი გამოვიდა ბიმბრუგის ეროპინა და მთელი მსოფლიოსადმი. მიმართვაში, რომელიც გადაცემულ იქნა ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორაციის მეშვეობით, ეიზენჰაუერმა განაცხადა: „ვადასწდომა წარმოადგენს ჩვენს რუს მოკავშირეებთან ერთობლივად ბერლინის ცარითავისუფლების შეთანხმებული გეგმის ნაწილს. ვინც მტერთან თანამშრომლობდა, ჩამოშორებულ იქნება“.

გენერალ ბ. ბაროსისა და გენერალ ჯ. დინის განცხადება

დასავლეთ ევროპაში მოკავშირეთა საექსპედიციო ჯარების უმაღლესმა მთავარსარდალმა ეს-ეს არის ტელეგრაფით გვაცნობა, რომ ბრიტანეთის, ამერიკისა და კანადის ჯარები დღეს დილით გადასხდნენ საფრანგეთში და რომ ევროპაში მეორე ფრონტი იხსნება.

ჩვენ, ბრიტანეთისა და ამერიკის სამხედრო მისიების მეთაურები, ღრმა მღელვარების გრძნობით მივესალმებით ამ მომენტის დადგომას, როცა ჩვენ შეგვეძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მთავარი ძალები შეუერთდნენ წითელ არმიას საბოლოო გამარჯვებისაკენ მიმავალ გზაზე.

მრისხანე სურათი აღიმართა ამჟამად მოწინააღმდეგის წინ. ოპერაციები, რომლებიც დღეს დაიწყო, განხორციელდება ამ საომარი მოქმედების დახმარებით, რომელიც წარმატებით ვითარდება იტალიაში. გასულ კვირაში ჩვენმა ავიაციამ ეფექტიანი თანამშრომლება დაამყარა

ბროქას ბარროსი, *გენერალ-ლეიტენანტი, მეთაური ბრიტანეთის სამხედრო მისიისა სსრ კავშირში.*

ჯონ რ. დინი, *ამერიკის შეერთებული შტატების არმიების გენერალ-მაიორი, მეთაური ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისიისა სსრ კავშირში.*

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲖᲔ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ

6 ივნისს დილით ამერიკის ბომბდამშენი ავიაციის შენაერთები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით და საბჭოთა ავიაციასთან თანამოქმედებით სსრ კავშირის ტერიტორიაზე არსებული ავიაბაზებიდან თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებს ქალაქ ბუკარესტის რაიონში (რუმინეთი). დაბომბვის შედეგად მოწინააღმდეგეს მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდა.

საჰაერო ბრძოლებში მოსპობილია მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი.

ოპერაციის მონაწილე ყველა თვითმფრინავი, ორ ავიაგამანადგურებელს გარდა, თავის ბაზაში დაბრუნდა. (საკდესი).

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა წელს უხვ მოსავალს მოიღებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გიგოშვილი (მარჯვნივ) ბრიგადირ ხ. დავიდოვთან ერთად ამოწმებს ხორბლის მოსავლიანობის ხარისხს.

ფოტო რ. აკოფოვისა

სამხედრო ტემპებით მუშაობენ თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის სტახანოველები. ისინი წარმატებით ახრულებენ ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების პასუხად ნაკისრ ვალდებულებებს. სურათზე: სტახანოველი დ. დუშინი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ყველაფერი ჩვენი გამარჯვებისათვის!

ახალი შრომითი აღმავლობა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სანარმოებში

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ამჟამად იხილავენ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ყაზანის ტყავის ფეხსაცმლის კომბინატ „სპარტაკის“, ივანოვოს ხელოვნური ლაბნის, ტელმანის სახელობის მოსკოვის ტყავის ქარხნის, მოსკოვის სასარაჯო-საუნაგირო თამარიკა „პროლეტარის“ და კლარა ცეტკინის სახელობის მოსკოვის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივების მიმართვას.

მსუბუქი მრეწველობის ამ მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მიმართვას, რომ დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების საპასუხოდ უზრუნველყონ შემტევი წითელი არმიისათვის მზარი დახმარება, ფართოდ გამოეხმაურა თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკა. ამ საწარმოს მუშათა კოლექტივმა იკისრა შემდეგი ახალი საწარმოო ვალდებულებანი:

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის საწარმოო დავალები შეასრულოს ვადაზე 10 დღით ადრე—20 ივნისისათვის და გეგმის გადამეტებით თვის ბოლომდე გამოუშვას 258.300 მანეთის პროდუქცია;

პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გაზარდოს 5 პროცენტით, 1 ივლისისათვის დაზოგოს 14.000 მეტრი ბამბეულის ქსოვილი და 1.800 მეტრი შალის ქსოვილი;

თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 20 პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 2,5 პროცენტით.

საამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივი ივნისში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმას შეასრულებს ოთხ მეორე 101 პროცენტით, 1 ივლისისათვის გასწევს 1.800 კვადრატული დეციმეტრი ზანდალიერე და 1.600 კვადრატული დეციმეტრი სალანჩე ტყავის ეკონომიას, მოამზადებს 20 ახალმოსულ მუშას.

ფეხსაცმლის მეხუთე ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა ივნისის საწარმოო დავალება შეასრულოს 10 ივნისისათვის. თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 7.000 წყვილი ფეხსაცმელი. გაზარდოს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება 1 პროცენტით, დაზოგოს 12.000 კვადრატული დეციმეტრი მაგარი ტყავი. გაზარდოს შრომის ნაყოფიერება 15 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 2 პროცენტით და ახალშესულთაგან თვის ბოლომდე მოამზადოს 5 კვალიფიციური მუშა.

თბილისის ქიმიური კომბინატის კოლექტივი 28 ივნისისათვის შეასრულებს მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმას, 15 პროცენტით გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, გადაჭარბებით შეასრულებს შაბიანნის დამზადების გეგმას და დანაკლისს მთლიანად დაფარავს 1 ივლისისათვის.

სტალინის სახელობის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა იკისრეს 20 ივნისისათვის შეასრულონ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის საწარმოო დავალებები და თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 12.000 წყვილი ფეხსაცმელი. 1 ივლისამდე დაზოგონ 48.000 კვადრატული დეციმეტრი ხაძარე და 32.000 კვადრატული დეციმეტრი სალანჩე ტყავეული. გაზარდონ შრომის ნაყოფიერება 16 პროცენტით და ახალმოსულთაგან თვის ბოლომდე მოამზადონ 20 კვალიფიციური მუშა.

ᲬᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲘ ᲛᲔᲨᲐᲮᲗᲔᲑᲘ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲣᲠ ᲕᲐᲮᲗᲖᲔ

ტყვარჩელი („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). ტყვარჩელის მეშახტეებმა გადასწყვიტეს ივნისში გაძლიერონ მუშაობის ტემპები, დაჩქარონ დანაკლისი და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცენ მრავალი ასი ტონა ქვანახშირი. სტალინის სახელობის შახტის მოწინავე ადამიანებმა წინადადება შემოიტანეს ივნისში დადგენენ სტახანოვურ ვახტზე და თვის დასაწყისიდანვე უზრუნველჰყონ ქვანახშირის მოპოვების სადღეღამისო გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

პირველ დღესვე სტალინის სახელობის შახტის მეოთხე უბანზე ამხ. ბოგატირიოვისა და სემენიხინის ბრიგადებმა ერთ ცვლაში ორ-ორი ნორმა შეასრულეს. ამავე შახტის მესამე უბანზე ამხ. მამონტოვის ბრიგადამ და ამხ. ბორეულკის ქალთა ბრიგადამ ცვლის გეგმა ორმაგი გადაჭარბებით შეასრულეს. მეექვსე უბანზე საეფტალიკო შტრეკში მომუშავე მნგრეველებმა ამხ. ნადამონოვმა და სემენიუკმა ქვანახშირის მონგრევის გეგმა 360-365 პროცენტით შეასრულეს. ასეთივე მიღწევა მოიპოვა ძირითად შტრეკში მომუშავე მნგრეველმა ამხ. ვდოვინმა.

შახტის მეშვიდე უბანზე ამხ. ხინჩიგანმა და როდიონოვმა თვითეულმა 800 პროცენტით შეასრულა ცვლის გეგმა.

სტახანოვიურ ვახტზე დადგომის შემდეგ შახტი სისტემატური გადაჭარბებით ასრულებს ქვანახშირის მოპოვების სადღეღამისო დავალებებს.

ა. კალატოზაშვილი

საუკეთესოდ დავამუშაოთ შაქრის ჭარხლის ნათესები

ქარელი („კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან). მეესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ე. აბაშიშვილმა იკისრა წელს ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანოს 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ამ ვალდებულების შესრულებისათვის რგოლი წარმატებით მუშაობს. აგროწესების მტკიცედ დაცვით უმოკლეს ვადაში დამთავრდა თესვა, მიღწეულია თანაბარი აღმოცენება. ნაკვეთის ირგვლივ შემოვლებულია 35 სანტიმეტრის სიღრმის შვეულ კედლებიანი თხრილი. ხვატარის ჰეპლების მოსასპობად მიღებულია ზომები. შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის წარმატებით მუშაობენ აგრეთვე სოფელ კეხიჯვრის, კრობანის, აბისისა და აბისისთავის კოლმეურნეობებში.

ქარელის რაიონს გათვალისწინებული აქვს წელს შარშანდელზე ერთიოთხად და ერთიხუთად მეტი ჭარხალი ჩაბაროს სახელმწიფოს. მაგრამ ამ ამოცანის შესრულებისათვის კოლმეურნეობებში ყველგან სათანადოდ არ არის გაშლილი მუშაობა. ზოგან არღვევენ აგროწესებს. სოფელ ძლევიჯვარის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. მარკოზაშვილი) 25 ჰექტარიდან 10 ჰექტარი თითქმის ნახევრად მომცდარია, არ ჩაუტარებიათ გამოთესვა, არც გამოხშირავა. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია 7 ჰექტარი პლანტაცია სოფელ თამარაშენის კოლმეურნეობა „წითელ დროშაში“.

აგროწესებს მიხედვით მწკრივთა შორის პირველი გაფხვიერება შაქრის ჭარხლის აღმოცენებისთანავე უნდა ჩატარებულიყო. მაგრამ ეს სამუშაო სოფელ სამწერისის კოლმეურნეობაში ერთი თვის შემდეგაც არ არის ჩატარებული. აგროწესებით სავალდებულოა აგრეთვე, რომ გამოხშირავა და მწკრივებში გაფხვიერება დამთავრდეს არა უგვიანეს 18 დღისა ნათესის აღმოცენებიდან. ეს წესიც უხეშად არის დარღვეული სოფელ ცერონისისა და ქვენატკოცის კოლმეურნეობებში.

ზოგან სათანადო მუშაობა არ არის გაწეული ჭარხლის მავნებლების მოსასპობად. ქარელის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობაში გაჯიანურდა აგრეთვე ნათესების გამოუხშირავა, შემოუშვა და ღრმა გაფხვიერება.

ტრ. თოდრაძე

როგორ ქომბაინებს გაიყვანებენ ქასპელები?

ქასპი („კომუნისტის“ საკ. კორ.). მალე თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება დაიწყება. მოსავლის აღებისათვის კარგად ემზადებიან სოფელ ქვემო ხანდაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. ადამშვილი), ალიანის კოლმეურნეობა „შრომა“ (თავმჯდომარე ი. ოდოსაშვილი), მეტეხის კოლმეურნეობა „გლეხის იმედი“ (თავმჯდომარე ს. ბოგველი), ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. მაჭარაშვილი). მაგრამ ასე არ ითქმის სოფელ კოდისწყაროს კოლმეურნეობა „მბაღლითზე“ (თავმჯდომარე ი. დვალიძე). კოლმეურნეობის ბრიგადირს დვალიძეს რომ ჰკითხოთ, გიპასუხებთ: ბრიგადა მზად არის მოსავლის ასაღებადო. მაგრამ ბრიგადას ჯერ კიდევ არ შეუკეთებია საჭირო ინვენტარი. სულტად ემზადება სოფელ გორაკის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა. თავმჯდომარე ვ. ბათილაშვილი კი დამშვიდებული შესცქერის ამ მდგომარეობას. ნელი ტემპებით ემზადებიან სოფელ ნიგოზის ბერიას, ზემო და ქვემო რენეს, ანდრეევის და 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობებში.

კასპის მტს-ს 5 კომბაინიდან შეკეთებული აქვს 3, 9 სალეწი მანქანიდან—4. ეს არადამაკმაყოფილებელია. მტს-ს დღემდე არ შეუძენია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. წითელქალაქის მტს-ში 7 კომბაინიდან მხოლოდ სამია შეკეთებული, 7 სალეწი მანქანიდან კი—5. ერთი სალეწი მანქანა ჯერ კიდევ გოსტბის სასოფლო საბჭოშია და რემონტი არ დაუწყიათ. აქ არ ზრუნავენ კომბაინერებისა და მათი თანაშემწეების მოსამზადებლად.

ვ. ბუზალაძე

ᲣᲘᲜᲡᲢᲝᲜ ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ლონდონი, 6 ივნისი (საკდესი). რეიტერის საგენტო გადმოგცემს, რომ თემთა პალატაში დღეს საღამოს გაკეთებულ თავის მეორე განცხადებაში ჩერჩილმა სთქვა:

„მე შემიძლია განვუცხადო თემთა პალატას, რომ ეს ოპერაცია საესებით დამაკმაყოფილებლად ვითარდება. ბევრი საშიშროება და სიძნელე, რომლებიც წუხელ განსაკუთრებით მრისხანედ მიგვაჩნდა, ახლა უკან გვაქვს მოტოვებული. ზღვით გადასვლა განხორციელებულ იქნა მნიშვნელოვნად ნაკლები ზარალით, ვიდრე ეფიქრობდით. სანაპირო არტილერიის წინააღმდეგობა მნიშვნელოვნად შესუსტებულ იქნა ჩვენი ავიაციის მიერ ჩატარებული დაბომბვის შედეგად, ხოლო ჩვენი ხომალდების ცეცხლმა სწრაფად შეამცირა მტრის ბატარიების ცეცხლი იმდენად, რომ იგი ხელს ვეღარ უშლიდა ჩვენი ამოცანის შესრულებას.

ფართო ფრონტზე ჯარების — ინგლისის, ამერიკისა და მოკავშირეთა (მე არ მოვიყვან იმ ეროვნებათა ანდა ქვეყნების სიას, რომლებსაც ეს ჯარები წარმოადგენდნენ) ჯარების გადასხმა ეფექტიანი აღმოჩნდა, და ჩვენმა ჯარებმა ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე მილზე შეაღწიეს სიფრანგეთის სანაპიროზე. ფართო ფრონტზე შექმნილია დასაყრდენი პუნქტები.

თვალსაჩინო ოპერაცია იყო გადასხმა ჩვენი საავიაციო-სადესანტო ნაწილებისა, რომლებიც რიცხობრივად, უეჭველია, სჭარბობდნენ ყველაფერს, რაც კი დღემდე ცნობილი იყო მსოფლიოში. ეს გადასხმა ჩატარდა არაჩვეულებრივი მცირე ზარალით და დიდი სიზუსტით. იგი განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა ხილვადობის განსაკუთრებული პირობების გამო მეტად შეზღუდულ პერიოდში, სწორედ განთიადის წინ.

საესებით შესაძლებელია, რომ უკანასკნელ წუთს შეიძლებოდა მომხდარიყო ისეთი რამ, რაც საავიაციო-სადესანტო ჯარებს წაართმევდა მათი როლის შესრულების შესაძლებლობას. საჭირო იყო მეტად დიდი რისკი გაგვეწია მეტეოროლოგიურ პირობებთან დაკავშირებით, მაგრამ გენერალ ეიზენჰაუერის მამაცობამ განსაზღვრა გადაწყვეტილებანი, რომლებიც უნდა მიგვეღო ყველა ამ განსაკუთრებით ძნელ საკითხებში, რომლებიც კონტროლს არ ექვემდებარებოდა.

საავიაციო-სადესანტო ჯარები ჰეროიკულად დამკვიდრდნენ. ხოლო გადასხდომა ჩატარებულ იქნა ნაკლები ზარალით, ვიდრე ჩვენ მოველოდით, — მნიშვნელოვნად ნაკლები ზარალით. სხვადასხვა პუნქტში ბრძოლები გრძელდება. ჩვენ ხელთ ვიგდეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ხიდი, რომლებიც მოწინააღმდეგეს არ აუფიფთქებია. ბრძოლა გრძელდება ქალაქ კანში საფრანგეთის სიღრმეში, მაგრამ მთელი ეს ამბები, რომლებიც შეადგენენ მეტად ძვირფას პირველ ნაბიჯს, — სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანსა და აუცილებელ პირველ ნაბიჯს — ჯერ კიდევ არ იძლევიან არავითარ მითითებას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ბრძოლები უახლოეს დღეებსა და კვირებში, იმიტომ რომ მოწინააღმდეგე ახლა, შესაძლოა, შეეცდება ამ რაიონში მოუყაროს თავი ძალებს. ამ შემთხვევაში მალე დაიწყება გაფფრებული ბრძოლები, რომლებიც განუწყვეტლივ გაგრძელდება იმისდამიხედვით, თუ რამდენად სწრაფად შეეძლებთ ჩვენი ჯარების გადაყვანას, ხოლო მოწინააღმდეგე — თავისი ახალი რეზერვების თავმოყრას. ამრიგად, ჩვენ შევდივართ მეტად სერიოზულ პერიოდში, და ამ პერიოდში ჩვენ შევდივართ ჩვენს, დიდ მოკავშირეებთან ერთად, წმინდა გულითა და კეთილი მეგობრობით“.

პრეზიდენტ რუზველტის გამოსვლა რომის დაკავებასთან დაკავშირებით

ვაშინგტონი, 5 ივნისი (საკდესი). პრეზიდენტმა რუზველტმა დღეს რადიოთი სიტყვა წარმოთქვა რომის დაკავებასთან დაკავშირებით.

„1944 წლის 4 ივნისს, — სთქვა რუზველტმა, — ამერიკისა და მოკავშირეთა ჯარებმა რომი დაიკავეს. ღერძის სახელმწიფოთა პირველი დედაქალაქი ამჟამად ჩვენს ხელშია“.

რუზველტმა აღნიშნა, რომ რომი განთავისუფლებულია მრავალ ერთა შეიარაღებული ძალების მიერ და სთქვა: „იტალიელებმა, რომლებმაც ხელი აიღეს თავიანთ მონაწილეობაზე ღერძში, რომელიც მათ არასოდეს არა სურდათ, აგრეთვე გამოგზავნეს ჩვენთან თანამონაწილენი ჯარები და მონაწილეობენ მათ მიწა-წყალზე შეერილ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში“.

„რომის განთავისუფლების პერსპექტივას,— განაგრძო რუზველტმა, — იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰიტლერისა და მისი გენერლებისათვის, რომ ამან აიძულა ისინი თავგანწირულად ებრძოლნათ და უდიდესი მსხვერპლი გაეღოთ ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ თავიანთი აღმოსავლეთის მოწმლილი ფრონტის, აგრეთვე თავიანთი დასავლეთის ფრონტის საზიანოდ. ჩვენ მათ როდი უნდა ვუშადლოდეთ იმას, რომ რომი გადაურჩა ომ ნგრევას, რომელიც გერმანელებმა ნეაპოლსა და იტალიის სხვა ქალაქებს მიაყენეს. მოკავშირეთა გენერლები ისე ოსტატურად ახდენდნენ მანევრირებას, რომ ნაცისტებს არ შეეძლოთ საკმაოდ დიდხანს გაჩერებულიყვნენ, რათა ზიანი მიეყენებინათ რომისათვის, ისე რომ არ გაეწიათ თავიანთი არმიის დაკარგვის რისკი“.

„ჩვენ შესანიშნავ დროს მოვიპოვეთ გამარჯვება, — განაგრძო რუზველტმა, — როცა ჩვენი მოკავშირე ძალები ემზადებიან სხვა ადგილებისათვის დასავლეთ ევროპაში, როცა ნაცისტთა სხვა არმიები შეშფოთებით მოელიან ჩვენს შეტევას და როცა ჩვენი მამაცი რუსი მოკავშირეები კვლავ უფრო და უფრო მეტად აგრძნობინებენ მტერს თავიანთ ძალას. მკაცრი სამხედრო თვალსაზრისით ჩვენ უკვე დიდი ხანია მივაღწიეთ იტალიის კამპანიის ზოგიერთ მთავარ მიზანს — საზღვაო გზების კონტროლს ხმელთაშუა ზღვაში ჩვენი კომუნიკაციების შესამოკლებლად, აგრეთვე აეროპორტების დაკავებას ფოჯაში, საალაც საგრძნობი ბომბებს ვაყენებთ კონტინენტს. უფუნურება იქნებოდა, რომ გადაჭარბებით შეგვეფასებინა რომის დაკავების სამხედრო მნიშვნელობა. ჩვენ კიდევ უფრო დიდი ლონისძიებების და კიდევ უფრო გააფთრებული ბრძოლის პერიოდი მოგველის, სანამ თვით გერმანიას მივაღწევდეთ. გერმანელებმა უკან დაიხიეს ათასობით მილის მანძილზე, დაწყებული კაიროს კარიდან ლიბიით, ტუნისით, სიცილიითა და სამხრეთ იტალიით. მათ მძიმე ზარალი მოუგიათ, მაგრამ ჯერ კიდევ არა იმდენად მძიმე, რომ ამ ზარალმა კრახამდე მიიყვანოს გერმანია. გერმანია ჯერ კიდევ არ არის ჩაყენებული ისეთ მდგომარეობაში, რომლის დროსაც იგი კაპიტულაციას მოახდენდა. გერმანია ჯერ კიდევ არ არის მიყვანილი ისეთ მდგომარეობამდე, რომლის დროსაც იგი ერთი თაობის შემდეგ ვეღარ დაიწყებდა მსოფლიოს დაპყრობას. ამიტომ გამარჯვება ჯერ კიდევ ერთგვარ მანძილზეა ჩვენგან. ეს მანძილი გავლილი იქნება შესაბამის დროში, რაც ყოველ ეჭვს გარეშეა. მაგრამ ეს მძიმე და ძვირადღირებული გზა იქნება“.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 6 ივნისი (საკდესი). იტალიაში მოკავშირეთა მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ იტალიაში მოწინააღმდეგის მოსასპობად წარმოებული ბრძოლები განუწყვეტლივ გრძელდება. ამერიკის მე-5 არმიის ჯარები ამჟამად გადადიან ტიბრს მრავალ პუნქტში და წინ წაიწიეს დაახლოებით 8 კილომეტრით მდინარის გაღმა. ამ სექტორში მტერი სუსტ წინააღმდეგობას ეწევა № 6 გზის (ვია კასილინა) ჩრდილოეთით მდებარე გორაკებზე. მტერი ჯერ კიდევ ძლიერ წინააღმდეგობას უწევს ინგლისის მე-8 არმიის ჯარებს თავისი უკანდახევის დაფარვის მიზნით. ამ სექტორში მოწინააღმდეგეს დასტოვა სადგური პალენა (რომის ჩრდილოაღმოსავლეთით) და რამდენიმე მთიანი პოზიცია.

იტალიის მთავრობის სხდომა

ალჟირი, 5 ივნისი (საკდესი). ბარის რადიომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ დღეს შესდგა მინისტრთა საბჭოს სხდომა. დანიღულ იქნა საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხები. მინისტრთა საბჭომ გაატქმა პირობები დროებითი ზავისა, რომელიც 1940 წელს დაიდო პეტრინისა და მუსოლინის წარმომადგენლებს შორის.

ბრძოლები იუგოსლავიაში
მარშალ ტიტოს ბრძანება

ჟენევა, 6 ივნისი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ დასავლეთ ბოსნიაში გაფფრებული ბრძოლები სწარმოებს მტრის დიდი მოტორიზებული ნაწილების წინააღმდეგ, რომლებიც ავიაციის მფარველობით განაგრძობენ შტურმის მოქმედებას. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლები იცავენ ყოველ მტკაველ თავიანთ მიწა-წყალს და მძიმე ზარალს აყენებენ მტერს.

დანარჩენ ფრონტებზე სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები, რომლებიც უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას ასრულებენ, თავს ესხმიან მტრის გარნიზონებს, კოლონებსა და გზებს.

თავის ბრძანებაში, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, მარშალი ტიტო აცხადებს, რომ გერმანელები და მათი დამქაშები — ნედიჩი, პაველიჩი და მიხაილოვიჩი დამარცხებებს განიცდიან იუგოსლავიაში, მთელ ძალღონეს ძაბავენ, რათა დაამარცხონ იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია და ამით გააძლიონ თავიანთი ჯარისკაცები და გერმანიის მოსახლეობა. გერმანელები და მათი დამქაშები, ნათქვამია ბრძანებაში, ჩქარობენ, რადგან იციან, რომ ახლოვდება დღე, როცა მათ გადამწყვეტ დარტყმას მიაყენებენ წითელი არმია და ინგლის-ამერიკის ჯარები.

მარშალმა ტიტომ უბრძანა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ყველა ნაწილს და იუგოსლავიის პარტიზანულ რაზმებს ფრონტის ყველა უბანზე, სადაც გერმანელებმა შეასუსტეს თავიანთი გარნიზონები, დაუყოვნებლივ დაიწყონ გადამწყვეტი ოპერაციები მტრის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტებისა და სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ.

პარტიზანთა ბრძოლა ბულგარეთში

სტამბოლი, 5 ივნისი (საკდესი). პარტიზანული მოძრაობა ბულგარეთში სულ უფრო და უფრო ფართოვდებასიათს იღებს. აქ მიღებული ცნობებით, პარტიზანთა წინააღმდეგ საბრძოლველად ბულგარეთის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ძალები გადასროლეს რეგულარული ჯარებისა და ჟანდარმერიის შემადგენლობიდან.

როგორც ახლა ცნობილი გახდა, მაისის შუა რიცხვებში ტრენის რაიონში გაფფრებული ბრძოლა მოხდა პარტიზანებსა და ჟანდარმერიის შორის. რამდენიმე ასეული პარტიზანი სამი დღე-ღამის განმავლობაში იგერიებდა ჟანდარმერიის ჭარბი ძალების იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენა მათ.

უფრო ხშირად პარტიზანები მცირე ჯგუფებად მოქმედიბენ. ისინი აფეთქებენ საწყობებს, რკინიგზებს, თავს ესხმიან ჟანდარმთა სამმართველოებს. იარაღს ჰყრიან პატრულებს. ამას წინათ პარტიზანთა ჯგუფი გამოცხადდა სოფელში, რომელიც სოფიიდან 12 კილომეტრზე ჰდებარეობს. მოსახლეობის თანდასწრებით პარტიზანებმა ადგილობრივი პოლიციის უფროსისა და მამასახლისის გასამართლება მოაწყეს. პატრიოტებმა ხელთ იგდეს პოლიციის სამმართველოში არსებული იარაღი და მთებში წავიდნენ.

ხელისუფალთა განკარგულებით ბევრ სოფელში სწვავენ იმ გლეხთა სახლებს, რომლებზეც ეჭვი მიაქვთ, რომ მათ კავშირი აქვთ პარტიზანებთან ან ამ უკანასკნელთა ნათესავები არიან. ტყვედ წაყვანილ დაჭრილ პარტიზანებს დაუყოვნებლივ ხვრეტენ. ხელისუფლებამ აუკრძალეს გლეხებს ერთი სოფლიდან მეორეში გადასვლა პოლიციის სპეციალური ნებართვის აუღებლად. ხელისუფლები ამ გზით ცდილობენ ხელი შეუშალონ გლეხებს პარტიზანებისათვის სურსათის მიწოდებაში. პარტიზანთა მოქმედების რაიონებში მდებარე ბევრ სოფელში დაყენებულია ჟანდარმერიის სპეციალური გარნიზონები, რომელთაც დაკისრებული აქვთ ამოცანა—თვალყური ადევნონ მოსახლეობის ყოფაქცევას.

ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა

4 ივნისს თბილისში ჩატარდა ლ. პ. ბერიას სახელობის ყოველწლიური ტრადიციული მაესობრივი კროსი, რომელშიც რამდენიმე ათასმა ფიზკულტურულმა მიიღო მონაწილეობა. სტარტზე გამოვიდნენ გარნიზონის საუკეთესო სპორტსმენები, საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების ქვეგანაყოფთა, სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის და სხვა უმაღლეს სასწავლებელთა გუნდები. კრაზნოდარელებიდან — „ლოკომოტივ“, „სპარტაკის“, „ბოცვერ“ [illegible] ბორტო ოლიმპიადა.

5.000 მეტრი მანძილი ყველაზე ადრე გარბინა საფრონოვმა. 3.000 და 1.000 მეტრი—სპორტის ოსტატმა მ. ნინ[illegible]ნმა, ქალთაგან უკეთესი დრო უჩვენეს: 1.000 მეტრზე—ა. პუშანოვამ და 500 მეტრზე—ე. ტატოსიანმა.

სრულიად-საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონაში

5 ივნისს, ტურნირში გათამაშებულ იქნა დაუთავრებელი პარტიები.

ბრონშტეინისა და ბოტვინიკის პარტია გადადებული იყო ისეთ ვდგომარეობაში, რომელშიაც ბრონშტეინს კუ, მხედარი და ორი პაიკი ებრძოდნენ ბოტვინიკის ეტლსა და ოთხ პაიკს. პოზიციას თეორიების სასარგებლოდ აფასებდნენ, თუმცა ბევრი ფიქრობდა, თამაშის სწორი გაგრძელებისას პარტია ყაბმით უნდა დამთავრდესო. მაგრამ ბრონშტეინმა მოხერხებული მანევრებით შესძლო ზედიზედ მოეგო შავების სამი პაიკი. ბრონშტეინის პაიკი შეუკავებლად გადიოდა ლაზიერად. ბოტვინიკმა შემდგომი წინააღმდეგობის გაწევა უიმედოდ ჩასთვალა და პარტია დასთმო. ეს ბოტვინიკის პირველი დამარცხებაა. ამრიგად, ოცი წლის ბრონშტეინმა მოიპოვა გამარჯვება მეორე გროსმაისტერზე, მან პარტია მოუგო გროსმაისტერ ლილიენტალსაც, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს ახალგაზრდა მოჭადრაკის განსაკუთრებულ ნიჭს.

რიგისკიმ მოუგო სოკოლსკის, მაკაგონოვმა წაგო ტოლუშთან, კოტოვმა მოუგო რაგოზინს, ბოტვინიკმა—ბოლესლავსკისა და ფლორს, ბოლესლავსკიმ წაგო სოკოლსკისთან, რაგოზინმა—ტოლუშთან. ლისიცინმა გაუთამაშებლად დაუთმო პარტია მაკაგონოვს და მიკენასმა—ლისიცინს. სოკოლსკისა და სმისლოვის პარტია ყაიმით დამთავრდა. დღის შედეგად დაუთავრებელი დარჩა მარტო ერთი პარტია—ვერესოვისა და ბრონშტეინისა.

ათი ტურის შემდეგ პირველ ადგილზე არის გროსმაისტერი ბოტვინიკი, რომელსაც ათი ქულიდან აქვს 8,5, მეორე ადგილზე—გროსმაისტერი სმისლოვი, რომელსაც ათიდან 7 ქულა აქვს. შემდეგ მიჰყვებიან: გროსმაისტერი ფლორი, რომელსაც ათიდან 5,5 ქულა აქვს; მაესტროები ბოლესლავსკი, მაკაგონოვი და სოკოლსკი, რომელთაც ცხრიდან ხუთ-ხუთი ქულა აქვთ; გროსმაისტერი ლილიენტალი და მაესტრო ხავინი, რომელთაც ცხრიდან 4.5 ქულა აქვთ, და სხვ.

დღეს, 6 ივნისს ჩემპიონატის XI ტურია. ყველაზე უფრო საინტერესო შეხვედრა ამ ტურში არის: ბოტვინიკისა და მაკაგონოვისა, რავინსკისა და სმისლოვისა და ბრონშტეინისა და ფლორისა. (საკდესი).

თბილისის დინამო საქართველოს ჩემპიონია

დამთავრდა ბლიც-ტურნირი სრულიად-საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში, რომელშიაც მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და სოხუმის „დინამოების“, თბილისის „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვების“, წითელი არმიის თბილისის სახლის და სხვა გუნდები.

შეხვედრები დაიწყო 27 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე. გუნდები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. თამაშის ხანგრძლივობა იყო 40 წუთი.

პირველ ჯგუფში გამარჯვებული გამოვიდა თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდი, რომელმაც მოიგო შეხვედრები შემდეგი ანგარიშით: ქუთაისის „დინამოსთან“—4:1, სოხუმის „დინამოსთან“—3:0.

მეორე ჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდნენ ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელები. მათ მოიგეს შეხვედრები: თბილისის „ლოკომოტივთან“—1:0, „შრომითი რეზერვებთან“—3:1 და წითელი არმიის თბილისის სახლის გუნდთან—0:0, 2:0.

4 ივნისს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შესდგა ფინალური მატჩი თბილისისა და ბათუმის „დინამოელებს“ შორის.

პირველი ტაიმი მიმდინარეობდა დაძაბულად და დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ—1:0.

მეორე ტაიმში თბილისელებმა თავიდანვე აღებული ინიციატივა შეინარჩუნეს თამაშის ბოლომდე და ბათუმელთა კარში გაიტანეს კიდევ ექვსი ბურთი. თბილისელ თავდასხმელთა რიგებში გამოირჩეოდა პანიუკოვისა და ახალგაზრდა დოლიძისა ენერგიული თამაში.

ფინალური შეხვედრა დამთავრდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ბრწყინვალე გამარჯვებით, ანგარიშით—7:0.

ამრიგად, თბილისის „დინამომ“ მოიგო ყველა შეხვედრა და მოიპოვა 1944 წლის საფეხბურთო სეზონის საქართველოს ჩემპიონის სახელწოდება. აღსანიშნავია, რომ თბილისელებმა მოწინააღმდეგეთა კარში გაიტანეს 23 ბურთი, ხოლო თავიანთ კარში მიიღეს მხოლოდ ერთი.

ა. გოგოლაშვილი

სტეფანე მენთეშაშვილი—„ქიზიყური ლექსიკონი“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ აკადემიკოს ვარლამ თოფურიას რედაქციით დაბეჭდა სტეფანე მენთეშაშვილის „ქიზიყური ლექსიკონი“. წიგნში მოთავსებულია სიტყვები, ტექნიკური ტერმინები და იდიომატური თქმები (სულ 6.260-მდე).

„ქიზიყური ლექსიკონი“ შეიცავს VIII+304 გვერდს.

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ

8 ივნისს, ხალმოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტის დარბაზში (ლენინის, 11) შესდგება ამხ. **თამარაშვილის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებანი.**

ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ:—რუსთაველის სახელობის—„ჯუნგლი“. **ოქტომბერი**—„შვიდი მამაცი“. **დამკვრელი**—„ბრძოლა რუსეთისათვის“. **კომკავშირელი**—„კუზიანი კვიცი“. **სპარტაკი**—„მარტი, აპრილი“.